

## საქართველოს მოკლე ისტორია

2012-2014 წლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის პროექტის ფარგლებში მომზადდა „ქართლის ცხოვრების“ პარალელური (ძველი ქართული – ძველი სომხური) კორპუსი. პროექტზე მომუშავე კვლევითმა ჯგუფმა მოიძია, ციფრული სტანდარტით დაამუშავა და პორტალზე გამოაქვეყნა (იხ. <http://corpora.iliauni.edu.ge/qats/index.php>) ამ თხზულების შემცველი მთელი ტექსტური მემკვიდრეობა, მათ შორის ორმოცდახუთი აქამდე გამოუქვეყნებელი ხელნაწერი (დობორჯგინიძე, ლობჯანიძე 2015: 367-379).

„ქართლის ცხოვრების“ ტრადიციულ ვერსიებთან ერთად, პორტალზე წარმოდგენილია ტექსტურ კორპუსთან თემატურად დაკავშირებული რამდენიმე საინტერესო თხზულება. წინამდებარე პუბლიკაციაში ვაქვეყნებთ ერთ-ერთ მათგანს, ფრანგი გენერლის, კარლოსის ავტორობით შემონახულ ტექსტს. იგი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის S ფონდშია (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ყოფილი კოლექცია) დაცული საიდენტიფიკაციო ნომრით S 2316.

როგორც სათაურიდან ირკვევა, გენერალ კარლოსს ტექსტი ფრანგულად დაუწერია, საიდანაც იგი ჯერ რუსულად უთარგმნიათ, 1782 წელს კი ქართულად.

ხელნაწერი წარმოადგენს კრებულს, რომელშიც მოთავსებულია შემდეგი ტექსტები: 1. ვახტანგ VI – ის სამართლის წიგნი [1v-56v]; 2. ანტონ I – ის საქართველოს მეფეთა შთამომავლობათათვის [62v-76v]; 3. საქართველოს მეზობელთა მკარეთა ადგილთა აღწერა: [77v-81v]; 4. ეპისტოლე ავგაროზ მთავრისა [ 82r-84v]; 5. მოკლედ ამბავნი იესო ნაზარეველისანი [ 84v-85v]; 6. აღწერა მეშვიდისა კრებისა [ 86v-91v]; 7. ისტორია საქართველოსი აღწერილი ფრანციცის ღენერალ კარლოს მიერ [92r-94v].

პირველი ექვსი თხზულება მეტ-ნაკლებად ცნობილია და რამდენიმე ხელნაწერთაა შემონახული. მეშვიდე, ფრანგი გენერლის მიერ აღწერილი საქართველოს ისტორია, როგორც ირკვევა, მხოლოდ ამ ხელნაწერში დასტურდება. ხელნაწერი გამოუქვეყნებელია, მოკლე ცნობები მის შესახებ მოიპოვება S ფონდის აღწერილობის მესამე ტომში.

ხელნაწერი არის პატარა ზომის წიგნი, სიმაღლე: 21. სიგანე: 16,5. სმ., გადაწერილია მოლურჯო, სქელ რუსულ ფურცლებზე. ხელნაწერს აქვს ორი სახის პაგინაცია: ერთი, ავთენტური ბექდურად შესრულებული ნომრები, ხოლო მეორე – მოგვიანო ხელით ფანქრით მიწერილი recto-verso პაგინაცია. ხელნაწერი გადაწერილია მხედრული ხელით. სათაურის და აბზაცების დასაწყისი პირველი ასოები შესრულებულია ლამაზი ასომთავრულით, რომელსაც თავისი შესრულების მანერით ხელნაწერის შემკულობის დანიშნულებაც აქვს. ხელნაწერი ჩასმულია ტყავის ყდაში, რომელიც ზემოდან არის ტვიფრული. ტყავი არის ღია ყავისფერი, რომელიც იკვრება ღია ყავისფერივე ტყავის წკირით. ხელნაწერი გადაწერილია 1825 წელს, გადამწერად დასახელებულია იოსებ ავალოვი.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შემოსვლის დროს ხელნაწერი იყო დაზიანებული, ამოვარდნილი ჰქონდა 91-ე ფურცელი. ხელნაწერს ჩაუტარდა რესტავრაცია (იხ. მეტრეველი 1963:191-192).

\* \* \*

**(92r) ისტორია საქართველოსა აღწერილი ფრანციცის  
ლენერალ კარლოს მიერ ხოლო თარგმნილი ფრანციცულითა  
რუსულად უფლისა პრორევეთისაგან. ხოლო რუსულითა  
ქართულსა ენასა ზედა თარგმნილი თავადისა  
თარხანოვისაგან წელსა 1782:**

**დაწყება პირველი, საქართველომსა ვითარებისათვის თავი, მოთხრობისა:**

(92v) საქართველო არს ფრიად კეთილი ადგილი, გარნა ტყიანი კლდიანი, მთა-ბარიანი. მუნ არს ფრიად მრთელი ჰაერი, წყალნი არიან ფრიად მარგებელ, ნაყოფიერებისა ყოვლისა კეთილ მომცემ. ხოლო მიწისა და ანუ ხისა არს მადანი მრავალ გვარი. კუალად არიან ობოლნი წყალნი სასარგებლო კაცთა. ხოლო აქვსთ სარწმუნოება ბერძნისა და არიან რაოდენიმე კათოლიკე სომეკნი, და თათარნი და ურიანი საქართველოსა, კაცთა თანა არა არას თვით საკუთრისა მათისა ბუნებისა, ვითარმედ ჰყავსთ მეფე თვისივე სარწმუნოებისა, გარნა მსახურებენ სპარსთა მეფესა:

**თხრობა მეფეთათვის საქართველომსათა, თუ ვითარ ჩუჭულება აქვსთ:**

მეფეთა საქართველომსათა არს ჩვეულება ვითარმედ ჰყვარობენ იგინი პურადობასა და სიმხნესა გარნა გარეშე იკონომისა (ესე იგი კანონიერისა წესისა,) და ამის მიზეზისა ძლით არა აქვსთ პური, უკუთუმიცა თვისთა საბრძანებელთაგან არა მოეცესთ. და ოდესცა

დასხდებიან ნადიმთა ზედა, მაშინ არს წყება ზრუნვისა მათისა სადილისათვის, უკეთუ ვახშამისა. ხოლო სპანი არა ჰყავსთ და უკეთუმცა იგინიცა განუსწავლელნი რეგულსა შინა.

ხოლო ოდეს მოვიდოდეს მტერი მაშინ იწყებდენ ზახილსა და შეკრებასა სპათასა განდევნად მადთა. გარნა ყვარობენ მოენეთა, უკეთუ კაცი დააბეზლებდეს ამხანაგსა ანუ ძმასა მაშინ იგი იქნე(93r)ბა პირველ ყრმა მეფისა, რომელთაცა არა აქვსთ სჯული სიმართლისა.

რამეთუ იპოვოს კაცი ესეთი, რომელსაცა აქვდეს შეძლება ნივთთა კეთილთა, მსწრაფლ მიუღებენ შემძლებელსა მას. ვითარმედ არიან თვით ღარიბ, რომელნიცა ჰგონებენ ქცევითა მით ამით უმჯობესობასა, გარნა სახელნი უგუნურნი და უცნობნი წერილთა ანუ ფილოსოფოსთა, ჰსძულობენ მეცნიერთა კაცთა. და უკეთუ იცის ვინმე მეცნიერება, უპყრიესთ გიჟად და არა იციან პატივი მისი. და ეგრეთვე კელოვანთაცა კაცთა გარნა არა უწყიან, თუ ვითარსა ბედნიერებასა მიიღებს ყოველივე ქუჭყანა მეცნიერებითა. უყუარსთ ჯდომა ნადიმსა ზედა გრძლად და სმა ფრიადისა სასმლისა; და ოდეს სთრავსთ, მაშინ იხუაშიადებენ სუფრასა ზედა და ყოველსა ქუჭყანასა საჭიროსა მუნ გარიგებულ ყოფენ. და ოდეს განქარდეს სმა, აღარ უწყიან თუ ვითარ არჩიეს და ანუ ვითარ განაგეს:

**აღზრდისათვის ძეთა მეფისათა:**

აღზრდებიან მეფისა ძენი მოახლეთაგან და ჰყავსთ მიჩენილი გლებთა შვილნი ფრიად უმეცარნი და ოდეს აღმოიდგამს ენასა, მსწრაფლ ასწავლიან ლანძღვასა და უშვერსა ლაპარაკთა. და ოდეს აღიზრდების, მისცემენ ბეჭედთა და დროშასა და ნებას სრულსა, ვითარცა აქვს თვით მეფესა. ხოლო მეფისა ძენი უმეცარნი, რომელთაცა არა უწყიან სხვათა ენა ან ფილოსოფია, მრისხანებისა და ტაცებისა კიდე. ხოლო უსაკუთრესი მათი არს, უკეთუ ჰყავსთ ძალლი ანუ ქორი და კუალად სმენ ფრიად ანუ უპატიოსა კაცსა თანა მეგობრობა, ანუ უპიროსა კაცსა (93v) თანა რჩევა:

ხოლო ესევეთარი ქცევა მეფისა ძეთა, არა არს ფრიად საქებელ შეყრილობასა შინა საზოგადოებისა და არა ზრუნავენ მამაკაცურისა საქმისათვის და უფროსცა მომავლისათვის საქმისა. ხოლო წარსულისათვის საქმისა ფრიად აქვსთ ზრუნვაჲ და არა ეძიებენ ქუჭყანისა შემატებისათვის საქმისა. და არცა საზოგადოთა ხალხთათვის, თვინიერ სიამოვნისა თავისა თვისისა და ვითარმე ესე სათნო ეყოს ხალხსა ანუ ქუჭყანასა:

### **თვით თავადთა ანუ კეთილშობილთა საქართველოდათა**

თვით თავადნი ანუ კეთილშობილნი არიან ფრიად მხნენი სალდათნი და უფროსლა კარსა ზედა მყოფნი. ჰყუარობენ ქურდობასა, ტყუილსა და ავენობასა, რომელიცა ვერ ძალ უძსთ დაფარუა მეფისა საიდუმლოთა და ესთავე თვისთა მეგობართაცა. და უკეთუ მისცე ფასი, მაშინვე გეტყვიან ყოველთა, მეფისა საიდუმლოთა და ქუცყანისათა დასავლისთა ვითარმედ მეფისა საზოგადოთა შესავალთა. ვითარცა მტრისასა, ეგრეცა თვისისა მეფისა და ქვეყანისასა იპარვენ და არა იციან შემოსავალთა ანგარიში და არცა ხარჯთა, თუ ვითარ გამოზრდის სახლთა ანუ ქუცყანასა.

ხოლო ელჩნი საქართველოსანი, საცა წარიგზავნებოდნან, უბნობენ მას კაცსა თანა აუგსა მეფისასა და საზოგადოებისასა, ვითარმედ ჰგონებენ მიღებასა ნიჭისასა დიდისასა კაცთა მათგან და არა ზრუნვენ საზოგადოო (94r) ბისა და მეფისა შემატებასა. უკეთუ დაინახოს თავის მეგობარი უპატიოდ მყოფი, მსწრაფლ ელის დაცემასა მისსა და არა შეწევნასა დაცემულთასა. და უკეთუ ნახოს მეფე დამდაბლებული, უპატიო ჰყოფს და არა შეეწევის, ვითარმედ ჰყვარობენ შურის ძიებასა უბრალოთასა. და არა ესე თუ თავით თვისით არს და უცოდინარობითა, ვინაითგან არა იციან წერილი და მან უწყის სიღარიბე და მამულისა თვისისა სიღარიბისაგან უმსახურობა, ვითარმედ ჰსძულდობენ მეცნიერებასა და არა უყვართ მამულისა თვისისა სამსახური.

ხოლო რომელნიმე ჟამთა ვითარებისაგან ტყულობასა შინა შთაცვივლნილან და ანუ იმყოფებიან თავისითა ნებითა ევრობასა შინა და ანუ აზიასა, თათართა ქუცყანასა, არიან ფრიად მხნენი და კელოვანი, ხოლო ქუცყანათა თვისთა ფრიად გამოუყენებელი და მცონარების მოყვარენი:

### **თვით წესთათვის საზოგადოთა კეთილშობილთა საქართველოსა შინა და თუ ვითარ არს ჩუჭლობა ქორწილისა მათისა:**

სთხოვს ერთი კაცი მეორესა ქალსა თვისსა ტოლსა და ანუ თვისსა ზედაცა მცირესა და დიდსა გარდაწყვეტს და არა უნახავს ყრმასა მას ქალი და არც ქალს ყრმა და უკეთუ არცა ერთსა არა ჰქონდეს (94v) ნება, მაინც იძულებით შეაუღლებენ:

### **გარდახდისათვის ქორწილისა:**

გარდახდომა ქორწილისა მათისა ესრეთ არს. ვითარმედ დაჰხოცენ პირველად საკლავსა ზროკათა და ესევეითართა მეორეს; სმენ მრავალთა დიდრონთა რქებითა ჯიხვისა ანუ კარისასა და დიდსა სიხარულსა ჰყოფენ. ხოლო დადგმენ გვირგვინსა ყრმათასა ანუ ქალთა, და სხენან ერთად და უკეთუ განუტეოს უნახავი იგი ქალი, მსწრაფლ

პატრონნი იგი ქალისაგან ანუ მოჰკვლენ და ანუ სისხლს წართმევენ ვერცხლსა და ვითარი გონება არს ესე: ში უგუნურო, რომელი ქალსა ყრმა არ უნახავს და ყრმასა ქალი, ესე ვითარ იქმნას კელ შეუღლებად ურთიერთარს. გარნა კეთილშობილთა მათ ესე წესი ფრიად კეთილ წესიერად სჩანსთ, მაგრამ არს ფრიად უკანონობა და უმეცრება:

### **მკუდართა დაფლვისათვის**

ოდეს მოკუდების მათგანი ქალი ანუ კაცი, დიდთა გუართა იქმნენ შეკრებასა ფრიადსა ქალნი და კაცნი და იწყებენ თავში ცემასა და ყვირილსა და კუალად ქალნი მოიგლეჯენ თავთაგან საფარველსა:

(95r) აღმწერი ამ წიგნისა იოსებ ავალოვ ვითხოვ შეცთომის მოტევენას.

1825 წელსა: ივლისის 25 დღესა.

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა  
ცირა ხახვიაშვილმა  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **დამოწმებანი**

დობორჯგინიძე ნინო და ირინა ლობჯანიძე. 2015. ქართლის ცხოვრების პარალელური კორპუსი. კადმოსი 7: 367-379

მეტრეველი, ელენე (რედ). 1963. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა – ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა – ტომი III – შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებულია: თ. ენუქიძის, ე. მეტრეველის, მ. ქავთარიას, ლ. ქუთათელაძის, მ. შანიძისა და ქრ. შარაშიძის მიერ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი.